

მშობლიური ქალაქი, უყვარს მისი ყველა ედროვნების მცხოვრები. მისი ტექსტი სიყვარულისა და შერიგებისათვის იქმნება და ეს ამ წიგნის დიდი ღირსებაა, გარდა იმისა, რომ მასში ღრმა და დახვეწილი მხატვრული სახეებია აღბეჭდილი.

მწერალს მიაჩნია, რომ მთავარი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არ არის საკმარისი აფხაზეთის მიწის დაბრუნება. უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ადამიანის მიერ ადამიანის დაბრუნება – ასეთია მისი ურყევი აზრი. ნაწარმოებებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მას პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისადმი. ისინი ადამიანის ფაქტორს არ აქცევენ ყურადღებას, ხედავენ მხოლოდ დიდი პოლიტიკის სქემებს. გურამ ოდიშარია კი თავის წიგნში სიყვარულით და გულით იბრუნებს აფხაზეთს. ეს დაბრუნება ხდება სიტყვასა და გრძნობიერ ველში. აქ მთავარია ადამიანი, მისი განცდები და ადამიანური კავშირები და შინაგანი მთლიანობის განცდა, მისი აღდგენის გზების ძიება. ეს წიგნი 1995 წლის შემდეგ ხუთჯერ გამოიცა და იგი მართლაც ასრულებს და დროთა განმავლობაში კიდევ ნეტად შეასრულებს წარმოსახვითი ხიდის როლს სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ადამიანებისთვის. გურამ ოდიშარიას წიგნის მეშვეობით ადამიანი ბრუნდება სოხუმში თავის ძმებთან, ბრუნდება სიყვარულსა და მეგობრობაში.

Nino Mindiashvili

Georgia, Tbilisi

Caucasus International University

Internally Displaced Person's Paradigm in the Context of an Epochal Discourse

Recently, the study of literary processes of the 90ies of the 20th century has become more actual. (I. Ratiani, M. Kvatchantradze, B. Tsipuria, M. Miresashvili, N. Gaprindashvili, A. Nemsadze, N. Kutsia, M. Turtava, G. Khorbaladze ...). The researchers agree that the events developed in Georgia have changed the routine of literary process, which led to the development of not only thematic but also genre characteristics. It is noteworthy

that despite the affluence of materials and the sensitivity of research topics, this issue has also become the subject of the Georgian literary criticism. At this stage it is interesting to determine how the radical epochal changes have impacted the Georgian cultural process, how the image of IDP's (Refugee) was depicted in the Georgian literature and what is the literary representation of these issues.

Based on the studied materials (Z. Metreveli, G. Sosiashvili Sh. Darbuashvili, V. Chkhikvadze, M. Chitishvili, M. Khetaguri, L. Chigladze) it is becoming clear that the events having taken place in Georgia gave grounds to the establishment of the IDP (refugee) paradigm in the fiction texts and it is also evident that the 90ies crisis (The Georgian-Ossetian conflict, the Georgian-Abkhazian conflict, the civil war) was almost fully reflected in the Georgian fiction texts.

Key words: Literature, War, Refugee, Paradigm.

ნინო მინდიაშვილი

საქართველო, თბილისი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დევნილის პარადიგმა ეპოქალური დისკურსის კონტექსტში

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით თეორიულ დისკურსში სულ უფრო აქტიურად განიხილება ლიტერატურა დევნილების შესახებ, რისი საფუძველიც, ბუნებრივია, სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებია, ფაქტია, რომ ამ ტიპის ლიტერატურა უფრო მეტად იმ სივრცესა და გარემოში იქმნება, სადაც ადამიანებმა (სხვადასხვა მიზეზით) მშობლიური გარემოს დაკარგვა განიცადეს. სწორედ აღნიშნული მოვლენების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ლიტერატურაში ნელ-ნელა ყალიბდება დევნილის მხატვრული სახე. საგულისხმოა, რომ დევნილის-ლტოლვილის პარადიგმა მსოფლმხედველობითი და მენტალური თავისებურებებით ხასიათდება.

ტრამფული მეხსიერება სხვადასხვა რაკურსით გამოვლინდა მსოფლიოში ცნობილი მწერლების შემოქმედებაში, სადაც დევ-

ნილობის თემა ერთ-ერთ საინტერესო მოდელად უნდა მივიჩნიოთ. უფრო მეტიც, 2017 წელს პოლ ვალერ მონპელიერის უნივერსიტეტის პროფესორმა კლაირ გალიენმა (ჩლაირე გალიენ) პარიზში ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი (<http://www.literature-comparee.fr/>), რომელიც ეხებოდა ლტოლვილის მხატვრული სახის განსაზღვრას ლიტერატურაში, მის იდეოლოგიურ, ნაციონალურ და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. ამ სიმპოზიუმის ერთ-ერთი განსახილველი საკითხი გულისხმობდა შემდეგს: უნდა იყოს თუ არა მწერალი თვითონ დევნილი, რომ შექმნას მაღალი ხარისხის ლიტერატურა ლტოლვილებზე. სიმპოზიუმზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა არაბ მწერლებზე, რომელთა შემოქმედებაც დევნილების თემებს ეხება.

კელის უნივერსიტეტის პროფესორი მარიანჯელა პალადინო (Marianjela Palladino) ნაშრომში – „ლიტერატურა დევნილებისთვის“ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვაში მოგზაურობის ნარატივი“ ავითარებს აზრს, რომ თანამედროვე მსოფლიოს მოცემულობამ, პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, მიგრაციის პროცესებმა სოციოკულტურულ სივრცეში ახალ დისკურსს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც დევნილთა საკითხებს განიხილავს, ლიტერატურათმცოდნეობით თეორიულ დისკურსში კი ყალიბდება ტერმინი „ლიტერატურა დევნილებისთვის“ (Refugee Literature). მეცნიერი მიიჩნევს, რომ დევნილების მიერ (როგორც ავტორების) შექმნილი ლიტერატურა არის ერთგვარი ნარატივი, ტრამვული მეხსიერება, რომელიც თავის თავში ინახავს გარკვეულ გამოცდილებასაც (პალადინო 2017: 5).

ამ საკითხისადმი სკეპტიკურად არის განწყობილი პოეტერის უნივერსიტეტის პროფესორი ფრედერიკ დეტუეი (Frederik Detue). იგი თავის სტატიაში „ეს არ არის ლიტერატურა დევნილებისთვის“, განიხილავს რა ავტორების: ვალი მუჰამედის, ფაბიენ დიდიე იენისა და მაჰმუდ ტრეორის დევნილების თემაზე შექმნილ ლიტერატურას, აღნიშნავს, რომ მისთვის მიუღებელია „ლტოლვილთა ლიტერატურის“ კონცეფცია, რადგან ეს უკანასკნელი თავის დანიშნულებას სათანადოდ ვერ ასრულებს (დეტუეი 2017: 7).

მკვლევარი მელისა ჩაპლინი (Melissa Chaplin) ლეგიტიმურად მიიჩნევს ტერმინს „ლიტერატურა დევნილებისთვის“, განიხილავს რა აფრო-პალესტინელი პოეტის, ისრა ალ-თიბესა და სომალელ

– ბრიტანელი მუსლიმი მწერლის, ვარშან შირის შემოქმედებას (ჩაპლინი 2017: 6).

პროფესორი ბენედიქტე ლეტელიერის (Benedicte Letellier) საკვლევეი საგანი არაბულად დაწერილი დევნილი პოეტების მხატვრული ტექსტებია (ფაიკი, ადებ ქემალ ად-დენი, აჰმადჯან ოსმანი), ავტორი მიიჩნევს, რომ იმ პროზაული ტექსტებისგან განსხვავებით, რომლებიც ე. წ. დევნილთა ლიტერატურას განეკუთვნება, აღნიშნულ პოეტურ ტექსტებში არ ჩანს „წარმოსახვითი საზოგადოება“, არამედ წარმოჩენილია ცნობიერების მოძრაობა, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების ქაოსისაგან გადარჩენის საშუალება უფროა, ვიდრე უზრალოდ თავშესაფარი (ლეტელიერი 2017:3).

მკვლევარი ოლივერა ჯოკი (Olivera Jokic) განიხილავს 1990-იან წლებში შექმნილ ქალთა მიმართ ძალადობის აღმწერ ტექსტებს, რომლებშიც, ნატურალისტურად, რეალისტურადაა გადმოცემული ომის დაუწერელი კანონი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტები და მიმართულია, ძირითადად, იმ მკითხველებსკენ, რომლებიც ინტერესდებიან ისლამოფობიის, სექსუალური ძალადობისა და ქალთა ტანჯვის საკითხებით, რაც ლიტერატურაში დევნილებისთვის უხვად მოიპოვება (ჯოკი 2017: 4).

კლაირ გალიენი (Claire Gallien) ცალსახად ავითარებს მოსაზრებას, რომ ლტოლვილთა ლიტერატურამ (ლტოლვილების შესახებ ლიტერატურამ), უფრო მეტად ჩაუყარა საფუძველი ძალადობის, როგორც ფენომენის წარმოშობას, იმდენად, რამდენადაც ამ მიმართულების მხატვრულ ტექსტებში ავტორები აქცენტირდებიან ძალადობაზე, რომელიც, ხშირ შემთხვევაში სულაც არ არის დესტრუქციული ძალა, არამედ არის გადარჩენის ერთადერთი საშუალება (გალიენი 2018: 9).

პროფესორი ვალერიე ანიშენკოვა (Valerie Anishchenkova) ავითარებს მოსაზრებას, რომ თანამედროვე სამყაროში ძალიან აქტუალურია დისკურსები დევნილთა თაობაზე. განსაკუთრებით, ლტოლვილთა შესახებ მხატვრული ტექსტები, რომლებშიაც იმაგულოგიურ დისკურსთან ერთად, საინტერესოა ისტორიები დევნილების შესახებ, რომელთაც, ავტორის აზრით, აუცილებლად ჰყავთ პროტოტიპები. ლტოლვილთა თემა ფართოდ აისახა დოკუმენტურ კინემატოგრაფიაშიც. მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ

თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ფილმები: „სალამი მეზობელო“ (2015), „სუდანის დაკარგული ბიჭები“ („2003 წ.“), „ღმერთი აღარ არის ჩვენში“ (2006), „მსოფლიო არაა ჩვენი“ (2012), „დაბრუნებული ადამიანი“ (2016) (ანიშენკოვა 2017: 5).

დუკის უნივერსიტეტის მკვლევარი კორინა სტენი (Corina Stan) „ლტოლვილთა ლიტერატურის“ კატეგორიას მიაკუთვნებს მწერალ აბას ხიდერის რომანებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ატარებს მემკვიდრეობით მიღებულ ტრადიციულ ელემენტებს, ხოლო მეორე მხრივ, მოდერნისტული თხრობის სტრატეგიებითაა დატვირთული. პროფესორი სტანი ავითარებს მოსაზრებას, რომ ხიდერის რომანებისთვის დამახასიათებელია ნიჰილიზმი, რაც, ასევე, „ლტოლვილთა ლიტერატურის“ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ (სტენი 2017: 6).

როგორც ვხედავთ „ლტოლვილთა/დევნილთა ლიტერატურა“, სამეცნიერო დისკურსში ფართო განხილვის საგანია, თეორიულ დისკურსში მკვიდრდება ტერმინი „დევნილთა ლიტერატურა“ (Refugee Literature), თუმცა, ჩემი აზრით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს დევნილი ავტორების მიერ შექმნილი ლიტერატურა და ლიტერატურა დევნილების შესახებ, რაც, ალბათ, შემდგომი კვლევების საგანია...

პოსტსაბჭოთა პერიოდი ქართულ ლიტერატურაში ბევრი თავისებურებით ხასიათდება. ეს ის პერიოდია, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის ფუნდამენტი ირღვევა, ხოლო ეროვნულ-ნაციონალური იდეები სულ უფრო აქტუალური ხდება რკინის ფარდის მიღმა. ეს პროცესი რთული და არაორგანიზებული ფორმით წარმართა ქართულ საზოგადოებაში. პოლიტიკურ-სოციალური ამინდის შეცვლამ, ერთი მხრივ, შეაფერხა კულტურული პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, სულ სხვა რაკურსით წარმართა ქართული ლიტერატურის განვითარება. საბჭოთა რეჟიმის დაშლამ, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ახალი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას, რამაც კორექტივები შეიტანა ქართულ კულტურულ საზოგადოებრივ სისტემაშიც. როგორც მკვლევარი, ბელა წიფურია აღნიშნავს, „1990-იანი წლების დამდეგისათვის, სანამ საბჭოური სისტემის რღვევა მნიშვნელოვან კულტურულ ცვლილებებსაც გამოიწვევდა, ქართულ ლიტერატურაში ძირითადად სამი კულტურულ-ლიტე-

რატურული სივრცე იყო შემოსაზღვრული: ოფიციალური, საბჭოურ-იდეოლოგიზირებული ლიტერატურული სივრცე; მასთან დაპირისპირებული, ეროვნულ იდეაზე და ტრადიციულ რეალისტურ ესთეტიკაზე ორიენტირებული მწერლობის სივრცე; და, ბოლოს, მოდერნიზმისეულ ესთეტიკაზე და თანადროულ მსოფლიო კულტურულ არეალზე ორიენტირებული ლიტერატურის სივრცე“ (წიფურია 2016: 120) ფაქტია, რომ საუკუნის მიწურულს განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, სამოქალაქო, აფხაზეთის და ცხინვალის ომებმა განმსაზღვრელი ფაქტორი იქონია ლიტერატურული თემატიკის ფორმირებაზე, უნდა ითქვას, რომ „სოციოკულტურული პრობლემების აქცენტირება, ამ პერიოდის თანამედროვე ქართული პროზის (პოეზიის ნ. მინდიაშვილი) ერთ მთლიან და არსებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს“ (იმნაიშვილი 2010: 65). ამ რთულ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ სრულიად სხვა ფორმა და შინაარსი შეიძინა ლიტერატურამაც, იქცა რა ქართული სოციალური, პოლიტიკური თუ მენტალური მოცემულობის ანარეკლად.

თანამედროვე ქართულ მხატვრულ ტექსტებში ერთ-ერთ მთავარ ადგილს ომის თემატიკა იკავებს, რაც (არსებული ისტორიული ვითარების გათვალისწინებით) სრულიად ბუნებრივია. ქართულისურმა თუ ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართველი ავტორების შემოქმედებით მიდგომებშიც გამოკვეთა, ხოლო საკუთარ სამშობლოში 300 ათასი ადამიანის დევნილობამ ქართული ლიტერატურა ახალი მხატვრული სახე-სიმბოლოებით დატვირთა. სწორედ აღნიშნული მოვლენების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართულ ლიტერატურაში ნელნელა ყალიბდება დევნილის მხატვრული სახე, საინტერესოა ისიც, რომ დევნილის/ლტოლვილის ხატი ჩნდება ხელოვნების სხვა დარგებშიც, ფერწერა, მუსიკა... (გიგო გაბაშვილი, 2010წ, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი, „გამოყრილები, ლტოლვილები“, პეტრე კოლხი „ფრთამოტეხილ მაფშალიას ვგავარ“, 2019, მხატვრული ფილმი „მინდისი“, 2019, რეჟისორი დიტო ცინცაძე)

რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლიტერატურულ დისკურსში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდება მხატვრული ტექსტები, რომელთა ავტორებიც

დევნოლები არიან და მათ შემოქმედებაში მძაფრად არის ასახული ლტოლვილების ხვედრი(მზია ხეთაგური, შოთა დარბუაშვილი, ირინე გოჩაშვილი, ციცინო ბაბუციძე, მარინე ტურავა...), ასევე, საგულისხმოა იმ არადევნილი ავტორების შემოქმედება, რომლებიც დევნილების თემებს ეხებიან (გიორგი სოსიაშვილი, ნაირა ბეპიევი, ლია ჭილაძე..)

მზია ხეთაგური იმ ავტორთა შორისაა, რომლისთვისაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან ასოცირდება მშობლიური ადგილების დათმობა, რეჟეიმით გაისმის პოეტის ხმა:

ქართველთა შესვლა სოხუმ-ცხინვალში აკრძალულია! –ალილუია!
იქ ჩვენი „ძმობა“ დაკრძალულია! – ალილუია, ალილუია!
საზღვარს შევეცქერით ზარბაზ-ლულიანს! – ალილუია, ალილუია!
ბარბარუსული სასწაულია! – ალილუია, ალილუია!
გული ეკლებად გადარგულია – ალილუია, ალილუია!
რა უყვავილო გაზაფხულია! – ალილუია, ალილუია!
ქრისტე, იუდას აღსასრულია! – ალილუია, ალილუია!
ხელები ცისკენ აღმართულია! – აღმართულია, აღმართულია!
იქნებ ეს, მტრობის დასასრულია? – დასასრულია, დასასრულია...
ალილუია!

(ხეთაგური 2018:7)

არანაკლები სიმძაფრით გამოირჩევა ლექსი „საზღვარი“, რომელსაც აქვს საინტერესო მინაწერი (ანდერძი), ავტორი შეძრულია არსებული ვითარებით, ვერ ეგუება იმ ქალაქის დაკარგვას, რომელიც მის იდენტობასთან ასოცირდება.

ჩემი ბავშვობის სასუფეველო! გულნატყვიარო,
ჩემო ცხინვალო!
ჩემო ოსებო და ქართველებო! ზღუდრის საყდარში
სანთლის ციალო!
ერთმანეთს ქვები რომ დავუშინეთ, – მტერი
ზეიმობს სახემცინარი!
თამარს მისტირის თამარნაშენი, მავთულხლართებში
ტყვეობს ცხინვალ!

(ხეთაგური 2018:8)

ავტორი უფრო შორს მიდის და იმ უმსგავსობის ხარკად, რაც ქართველებსა და ოსებს შორის მოხდა, მზადაა საკუთარი სიცოცხლე გაიღოს:

დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“,
ამ სიყვარულის უსაზღვროებით!
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე აქ – ქართველების,
იქით – ოსების!
დამასაფლავეთ ფარდაახდილი, ზურგში მახვილით,
შორს გაფრენილით!
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი, როგორც მანდილი –
ძირს დაფენილი!
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის, ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად
მტრობისა!
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი,
თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!

(ხეთაგური 2018:8)

მზია ხეთაგურის ბოლო პერიოდის შემოქმედებას რეფრენად გასდევს სიკვდილის შიში, თუმცა პოეტის შემფოთებას იწვევს არა თავად სიკვდილი, როგორც ფიზიკური მდგომარეობა, არამედ ის ფაქტი, რომ მშობლიურ ქალაქში ვერ დაიმკვიდრებს სამუდამო თავშესაფარს:

თვალეbs დავითხრი, მეც, ოიდიპოს,
ისედაც ჩამქრალს, მზე არ მექნება!
მეტი სიბრმავე რა უნდა იყოს –
მკერდს, უცხინვალო მიწა მეყრება!
(ხეთაგური 2018:10)

ჩემი აზრით, განსახილველი საკითხის კონტექსტში ასევე ძალიან საინტერესოა ცხინვალიდან დევნილი პოეტის, შოთა დარბუაშვილის, შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ მის ბოლო პერიოდის მხატვრულ ტექსტებში წარმმართველი ადგილი სწორედ დევნილობის თემებს ეხება. საგულისხმოა, რომ ამ ავტორის შემოქმედება უფრო მეტად არის გამსჭვალული ოპტიმისტური განწყობებით, ცხინვალში დაბრუნების იმედით.

ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრების,
ერთი წარწყმედის, ერთი ცხოვნების,
მე ერთი ვიცი, რომ ორი ცრემლით,
ჩემს ცხინვალს მაინც ვემახსოვრები...

.....
და მაინც, მერე, როცა აპრილი,
შენს დაბადებას ამცნობს აისებს,
დაგიბრუნდები შენით ავსილი
და ავამღერებ ფერად მასიებს
(დარბუაშვილი 2018:32)

ავტორი ლექსში „ლტოლვილი მქვია“ მთელი სიმძაფრით ავლენს თავის დამოკიდებულებას ლტოლვილობის, როგორც სოციალური და პოლიტიკური მოცემულობის მიმართ.

ლიახვმა ცრემლიც თან გაიყოლა,
მე კი მთვრალი ვარ და ვარ ყარიბი,
ადარაფერი შემომრჩენია,
ლტოლვილი მქვია მტრისთვის არიფი...
(დარბუაშვილი 2018:32)

კიდევ ერთი ავტორის შემოქმედებაზე შევჩერდები, რომლის დებიუტიც სულ ახლახანს შედგა პოეტური კრებულით „სოხუმი თბილისი“, ავტორი-მარინე ტურავა, კრებული ბევრი ნიშნით არის საინტერესო, თუმცა, ჩვენთვის ამ ეტაპზე იგი მნიშვნელოვანია როგორც „ლიტერატურა ლტოლვილობაზე“. წინა ავტორების მსგავსად, მარინე ტურავაც თავადაა დევნილი, ხოლო მის ბოლოდროინდელ ლექსებში (თბილისში შექმნილ), აშკარაა დევნილობის სევდაცა და ხვედრიც.

მონატრება და იმედი გასდევს ლაიტმოტივად პოეტის ლექსებს, რომლებიც მკითხველის გასაოცარ ემოციას იწვევს:

იქნებ, ოდესმე წყლის შროშანებით
მოფენილი სანაპირო დავიბრუნო,
ჩემი ბავშვობის
დაკარგილი ბილიკი ზღვაზე

და სახლი, რომელიც სიყვარულისთვის,
მხოლოდ ჩემი სიყვარულისთვის არსებობს სადღაც
და არა – განწირული,
საბედისწერო,
სხვისთვის კუთვნილი
გრძნობისთვის ოდენ.

(ტურავა 2019: 29)

უნდა აღინიშნოს, რომ მარინე ტურავას პოეზიაში ზღვის კონცეპტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ვფიქრობ, სწორედ ეს მომენტი გამოარჩევს მას სხვა დევნილი ავტორებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ზღვის პერსონიფიკირება არ არის უცხო ქართული ლიტერატურისთვის (ლტოლვილთა ლიტერატურისთვის), მარინე ტურავას პოეზიაში ზღის პარადიგმას განსხვავებული დატვირთვა აქვს.

ჩემი ზღვა მენატრება,
ჩემი ქალაქის,
მხოლოდ ჩემი და
არა, ზოგადად, ზღვა!

.....

სახლი მინდა-
ზღვაზე გაჭრილი ბილიკით!

(ტურავა 2019: 29)

(სიმპოზიუმის მასალები განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) საკვლევი საკითხის კონტექსტში უამრავი მასალის მოხმობა შესაძლებელი, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანს. დევნილობის თემაზე დაწერილ ლიტერატურას უხვად ვხვდებით თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში (ბოლო 30 წელი), რასაც, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ლიტერატურა უხვადაა როგორც პოეზიაში, ასევე პროზასა და დრამატურგიაში, თუმცა ცალსახაა, რომ დევნილის პარადიგმა ეპოქის გამოძახილია, პოლიტიკურმა მოვლენებმა კი, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, ასახვა ჰპოვა ლიტერატურულ დისკურსში.

დამოწმებანი:

ანიშენკოვა 2017: Anishchenkova, V. „The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse“. *სიმპოზიუმის მასალები* (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

გალიენი 2018: Gallien, C. “Refugee Literature”: What postcolonial theory has to say. *Journal of Postcolonial Writing*. Volume 54, 2018 – Issue 6: Special issue: Refugee Literature.

დარბუაშვილი 2018: დარბუაშვილი შ. *კრებული „ალილუია“*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2018.

დეტუეი 2017: Detue F. “This is no Refugee Literature“. *სიმპოზიუმის მასალები* (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

იმნაიშვილი 2010: იმნაიშვილი ა. *XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები (პოსტსაბჭოთა თაობა)*. სადოქტორო დისერტაცია, თსუ, 2010 ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ლეტელიერი 2017: Letellier B, “La poésie de l’exil dans l’océan Indien : Salah Faik, Adeeb Kamal Ad-Deen et Ahmatjan Osman“. *სიმპოზიუმის მასალები* (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

პალადინო 2017: Palladino M, “Refugee Literature”? Narrative of Journeys across Africa and the Mediterranean. *სიმპოზიუმის მასალები* (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

სტენი 2017: Stan C “From The Village Indian to Ohrfeige: Novels in the Translation Zone“. *სიმპოზიუმის მასალები* (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

ტურავა 2019: ტურავა მ. *სახეში თბილისი*. თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2019.

ჩაპლინი 2017: Chaplin M, “Exploring the Positioning of Refugee Authors in Contemporary Literature: Negotiating Identities from the Middle East to the UK” *სიმპოზიუმის მასალები* (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

წიფურია 2016: წიფურია ბ. *ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2016.

ხეთაგური 2018: ხეთაგური ი. *კრებული „ალილუია“*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2018.

ჯოკი 2017: Jokic O, “Yugoslavian Literature of Muslim Displacement and the Reading of Pity” <http://www.litterature-comparee.fr/>

Ketevan Nadareishvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**The Political Processes of 1990s in an Artistic Context:
Olga Taxidou's Play „Medea – A World Apart“ and its
Interpretation in the Tumanishvili Film Actors' Studio**

While discussing the relationship between literary discourse and political processes the study of the receptions of the classical heritage provides with a fruitful material. One of the most significant examples of such reflection is Olga Taxidou's play "Medea" (adaptation of Euripides' tragedy) written in 1990s.

The writer puts forward the complexities connected with the age-old East x West opposition, though gives to this theme the modern connotation. The interrelation of an empire and the "third world" and the condition of women as the most fragile part of the imperialistic strategy becomes the main discourse of the play.

The conclusions of the article suggest useful insights concerning : a) Taxidou's reception of Medea in the context of the modern interpretations of the Medea theme; b) Taxidou's method (using the myth) in reflecting on the geopolitical and cultural problems of the day and presenting them in a broader context of time and space.

Key words: Medea; Reception; Taxidou; Euripides; Interrelation of Political and Literary Discourses.